ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4536472

ნომერი: AR1685693

თარიღი : 04.06.2019

გაცემის თარიღი : 07.06.2019

გაცნობის თარიღი : 10.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ არზიანი პ/ნ 62003000505
- ქ.თბილისი; ვარკეთილი-3; 2-მკრ; კ-17; ბ-45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. წარმოდგენილი სახით გაურკვევლია კიბის მოწყობა როგორ მოხდება, შესაბამისად ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა წარმოდგენილი სახით სახანძრო/საევაკუაციო კიბის მოწყობის შესაძლებლობაზე და კონსტრუქციულ მდგრადობაზე.

2. ვინაიდან ეწყობა სახანძრო/საევაკუაციო კიბე, ასევე, წარმოადგინეთ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანხმობა წარმოდგენილი სახით სახანძრო/საევაკუაციო კიბის მოწყობის შესაძლებლობაზე

3. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - ფოტომონტაჟზე დაიტანეთ საპროექტო კიბის ყველა გაბარიტული ზომა, მათ შორის ბაქნებისაც ან ატვირთეთ ესკიზური ფრაგმენტული გეგმა არსებული შენობების ჩვენებით, სადაც დატანილი იქნება საპროექტო კიბის ყველა გაბარიტული ზომა, მათ შორის ბაქნებისაც.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.